წინამდებარე დოკუმენტი წარმოადგენს ხელშეკრულების ნიმუშს, სადაც განსაზღვრულია საკრედიტო პროდუქტით სარგებლობის ძირითადი პირობები და შესაძლებელია შეიცვალოს კონკრეტული პირის მიერ საკრედიტო პროდუქტით სარგებლობისას

გირავნობის ხელშეკრულება N

თარიღი:

ერთი მხრივ სს "ვითიბი ბანკი ჯორჯიას" --- (----) (შემდგომ "ბანკი"), წარმოდგენილი ---ს სახით, მოქმედი მინდობილობის საფუძველზე და ---- (შემდგომ „დამგირავებელი"), მეორე მხრივ, ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას შემდეგზე:

1. ხელშეკრულების საგანი

1.1 მოგირავნე უფლებამოსილია მოგირავნესა და ---ს *(შემდგომში „მსესხებელი")* შორის დადებული საკრედიტო ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების მსესხებლის მიერ შეუსრულებლობისას ან არასათანადოდ შესრულებისას, სხვა კრედიტორებთან შედარებით, პირველ რიგში დაიკმაყოფილოს თავისი მოთხოვნა დაგირავებული ქონების ხარჯზე, რომლის გირავნობის პირობები განსაზღვრულია წინამდებარე ხელშეკრულებით,

2. გირავნობით უზრუნველყოფილი ვალდებულება

2.1. გირავნობით უზრუნველყოფილი ვალდებულების წარმოშობის საფუძველია მოგირავნესა და მსესხებელს შორის ----ს დადებული საკრედიტო ხელშეკრულება (შემდგომ „ხელშეკრულება");

2.2 საბანკო კრედიტის ხელშეკრულების თანახმად კრედიტის მოცულობა შეადგენს ----.

2.3 საბანკო კრედიტის სარგებლობისათვის საპროცენტო განაკვეთის ოდენობა შეადგენს წლიურ --- პროცენტს.

2.4 საბანკო კრედიტი გაიცემა ---მდე.

2.5 იმ შემთხვევაში, თუ B1ფორმით გათვალისწინებული გადახდები არ განხორციელდება ამავე ფორმით გათვალისწინებულ ვადებში, მსესხებელს დაერიცხება --, დამატებით ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე ვადაგადაცილებული თანხის ----%.

3. გირავნობის საგანი

3.1. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების დადგენილ ვადაში შესრულების უზრუნველსაყოფად დამგირავებელი გირაოში დებს სს „ვითიბი ბანკი ჯორჯიას" ---ში № --- ანგარიშზე განთავსებულ დეპოზიტს (შემდგომ „გირავნობის საგანი");

3.2. № --- ანგარიშზე განთავსებული დეპოზიტის ოდენობაა ---.

3.3. გირავნობის საგანი წარმოადგენს დამგირავებლის საკუთრებას, რაც დასტურდება სს „ვითიბი ბანკი ჯორჯიას" ---ს და დამგირავებელს შორის ----–ში დადებული № --- ხელშეკრულებით.

3.4. გირავნობის საგანი ამ ხელშეკრულების დადებამდე არ არის გასხვისებული, არ არის დაყადაღებული, არ არის მესამე პირთა უფლებებით დატვირთული და დავის საგანს არ წარმოადგენს.

4. მოგირავნის უფლებამოსილება

4.1. თუ მსესხებელი არ შეასრულებს ან არაჯეროვნად შეასრულებს ხელშეკრულებით ნაკისრ ვალდებულებებს, მოგირავნე უფლებამოსილია დამგირავებლის გაფრთხილების შემდეგ განახორციელოს გირავნობის საგნის რეალიზაცია, რაც გამოიხატება № ---ანგარიშზე განთავსებული დეპოზიტიდან დავალიანების თანხის უაქცეპტო წესით ჩამოწერაში; თუ უაქცეპტო წესით ჩამოსაწერი თანხა განსხვავდება მსესხებლის მიერ ასანაზღაურებელი თანხის ვალუტისაგან, მოგირავნე უფლებამოსილია დამგირავებლის ხარჯზე მოახდინოს ერთ სავალუტო ერთეულიდან მეორეში თანხის კონვერტაცია სს"ვითიბი ბანკი ჯორჯიას" კომერციული კურსის შესაბამისად;

4.2. ბანკი უფლებამოსილია განახორციელოს გირავნობის საგნის რეალიზაცია, თუ საკრედიტო ხელშეკრულებისთ განსაზღვრული ვალდებულება არ შესრულდა დამგირავებლის გაფრთხილებიდან 3 დღის ვადაში.

4.3. იმ შემთხვევაში, თუ დაგირავებულ დეპოზიტზე განთავსებული თანხა საკმარისი არ იქნება გირავნობით უზრუნველყოფილი მოთხოვნის დასაფარავად, მოგირავნეს მოთხოვნა არ ითვლება დაკმაყოფილებულად.

4.4 დამგირავებელი უფლებამოსილებას ანიჭებს ბანკს დამგირავებელთან და ხელშეკრულებით ნაკისრ ვალდებულებებთან დაკავშირებული ნებისმიერი ინფორმაცია (პოზიტიური ან/და ნეგატიური, ასევე პერსონალური მონაცემები) გადასცეს სს "კრედიტინფო საქართველოს" (საიდენტიფიკაციო კოდი 204470740) ან/და მსგავსი ფუნქციის მქონე ნებისმიერ დაწესებულებას მონაცემთა ბაზაში შესატანად, რის საფუძველზეც ეს ინფორმაცია გახდება ხელმისაწვდომი მესამე პირისათვის. აგრეთვე, დამგირავებელი უფლებამოსილებას ანიჭებს ბანკს დამგირავებელთან და წინამდებარე ხელშეკრულებით ნაკისრ ვალდებულებებთან დაკავშირებული ინფორმაცია გამოიყენოს ვი თი ბი ჯგუფის ჯგუფური ანგარიშგების შედგენის მიზნებისათვის;

4.5 ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებ(ებ)ის დარღვევის შემთხვევაში, დავალიანების მსესხებლისაგან ამოღების მიზნებისათვის, დამგირავებელი უფლებამოსილებას ანიჭებს ბანკს დამგირავებელთან და წინამდებარე ხელშეკრულებით ნაკისრ ვალდებულებებთან დაკავშირებული ინფორმაცია გადასცეს მესამე პირებს;

4.6 ბანკი უფლებამოსილია გადასცეს დამგირავებელთან და წინამდებარე ხელშეკრულებით ნაკისრ ვალდებულებებთან დაკავშირებული ინფორმაცია მესამე პირს ბანკის მიერ დამგირავებლის მიმართ წინამდებარე ხელშეკრულების საფუძველზე არსებული მოთხოვნის დათმობის მიზნით.

4.7 ბანკი უფლებამოსილია დამგირავებელთან დაკავშირებული ნებისმიერი ინფორმაცია/დოკუმენტი მიაწოდოს გარე აუდიტორს, რომელიც ბანკს უწევს პროფესიულ მომსახურებას.

4.8 ხელშეკრულებაზე ხელმოწერით დამგირავებელი პირი თანხმობას ვაცხადებ, რომ სს „ვითიბი ბანკი ჯორჯიამ" კანონმდებლობით დადგენილი წესით ჩემს მიერ გირავნობის ხელშეკრულების გაფორმების მიზნით და ამ მიზნების განსახორციელებლად, საჭირო მოცულობით მიიღოს სსიპ - სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს მონაცემთა ელექტრონული ბაზიდან, ბანკისთვის აუცილებელი, ჩემი პერსონალური მონაცემები.

<u>4.9</u> დამგირავებელი თანახმაა, რომ ბანკმა, დამგირავებლისთვის მომსახურების გაწევის ან/და საბანკო პროდუქტების შეთავაზების მიზნით, როგორც წინამდებარე ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში, ისე შემდგომ, დამგირავებლის დამატებითი თანხმობის გარეშე, ნებისმიერ საკრედიტო–საინფორმაციო მონაცემთა ბაზიდან ან/და სხვა წყაროდან, მათ შორის სს "კრედიტინფო საქართველოს" (საიდენტიფიკაციო კოდი 204470740) მონაცემთა ბაზიდან მოიძიოს, მიიღოს, გამოიყენოს ან სხვაგვარად დაამუშაოს დამგირავებლის შესახებ არსებული ნებისმიერი ინფორმაცია (მათ შორის პერსონალური მონაცემები და საკრედიტო ისტორიის შესახებ მონაცემები).

5. გირავნობის ხელშეკრულების შეწყვეტის საფუძვლები

5.1. გირავნობის ხელშეკრულება წყდება:

- გირავნობით უზრუნველყოფილი ვალდებულების შესრულებისას;
- კანონით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევებში.

6. სხვა პირობები

6.1. ეს ხელშეკრულება ძალაში შედის მხარეთა მიერ ხელმოწერის მომენტიდან;

6.2 ამ ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში დამგირავებელი არ არის უფლებამოსილი გაიტანოს № ---- ანგარიშზე განთავსებული დეპოზიტი და მასზე მირიცხული პროცენტები;

6.3 „ნებისმიერი დავა გამომდინარე ამ ხელშეკრულებიდან, დაკავშირებული მის გაუქმებასთან, შეწყვეტასთან, ბათილობასთან, ხელშეკრულებიდან გასვლასთან და მისგან გამომდინარე ნებისმიერ შედეგთან (მათ შორის უზრუნველყოფის ღონისძიებათა გამოყენებასთან), ასევე წინამდებარე პუნქტით გათვალისწინებული საარბიტრაჟო დათქმის ნამდვილობასა და არსებობასთან დაკავშირებული საკითხები განსახილველად და საბოლოო გადაწყვეტილების მისაღებად გადაეცემა შპს „საქართველოს საარბიტრაჟო პალატას" (საიდენტიფიკაციო N205267389), რომლის იურისდიქციას მხარეები აღიარებენ ანულირების გარეშე. აღნიშნული არბიტრაჟი საქმეს განიხილავს თავისი დებულებით დადგენილი წესით. საქმეს, მისი სირთულიდან გამომდინარე, განიხილავს არბიტრაჟი ერთი ან სამი არბიტრის შემადგენლობით. არბიტრებს ნიშნავს და მათ რაოდენობას განსაზღვრავს არბიტრაჟი. არბიტრაჟის მიერ მიღებული გადაწყვეტილება სასარჩელო მოთხოვნის უზრუნველყოფის შესახებ ექვემდებარება აღსრულებას არბიტრაჟის მიერ გაცემული სააღსრულებო ფურცლის საფუძველზე და არ საჭიროებს სასამართლოს მიერ ცნობასა და აღსრულებას.

მხარეები დამატებით იღებენ ვალდებულებას მისამართის ან/და ფაქტობრივი ადგილსამყოფელის შეცვლის შემთხვევაში აცნობონ იგი არბიტრაჟს, წინააღმდეგ შემთხვევაში არბიტრაჟის მიერ კორესპოდენცია გაგზავნილი იქნება წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული მისამართის მიხედვით და კორესპოდენცია (მათ შორის გზავნილი, გარკვეულ საარბიტრაჟო მოქმედებათა შესახებ შეტყობინება, განკარგულება, გადაწყვეტილება და ა.შ.) ჩაითვლება ჩაბარებულად (შესაბამისი თანმდევი სამართლებრივი შედეგებით).

6.4 ბანკს უფლება აქვს შეტყობინება ან სხვა დოკუმენტი გადასცეს დამგირავებელს ან გაუგზავნოს შეტყობინება/დოკუმენტი (კურიერის ან საფოსტო ორგანიზაციის მეშვეობით) წინამდებარე ხელშეკრულების მე-7 მუხლში მითითებულ მისამართზე ან დამგირავებლის იმ მისამართზე რომელიც რეგისტრირებულია საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების რეესტრში/მითითებულია პირადობის დამადასტურებელ დოკუმენტში. შეტყობინება/დოკუმენტი შეიძლება ასევე გაგზავნილ/გადაცემულ იქნეს მე-7 მუხლში მითითებულ ტელეფონის ნომერზე მოკლე ტექსტური შეტყობინების ფორმით, ფაქსით, ელექტრონული ფოსტით ან სხვა კომუნიკაციის საშუალებით. შეტყობინება/დოკუმენტი შეიძლება ასევე გაგზავნილ/გადაცემულ იქნეს დამგირავებლის იმ ტელეფონის ნომერზე მოკლე ტექსტური შეტყობინების ფორმით, ფაქსით, ელექტრონული ფოსტით ან სხვა კომუნიკაციის საშუალებით რომელიც რეგისტრირებულია საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოს მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების რეესტრში. შეტყობინების/დოკუმენტის გაგზავნა ნებისმიერი ამ პუნქტში დათქმული ფორმით ჩაითვლება დამგირავებლისათვის შეტყობინების ჩაბარებად. შეტყობინების/დოკუმენტის გაგზავნა ბანკის სახელით ბანკის თანამშრომლის მიერ ტელეფონის ნომრიდან მოკლე ტექსტური შეტყობინების ფორმით ან ელექტრონული ფოსტით ზემოაღნიშნულ რეკვიზიტებზე ჩაითვლება დამგირავებლისათვის შეტყობინების ჩაბარებად.

შეტყობინება დამგირავებლის მიერ მიღებულად/ჩაბარებულად ითვლება:

- პირადად მიწოდების შემთხვევაში - შეტყობინების ან სხვა დოკუმენტის დამგირავებლისათვის ჩაბარების დღეს.
- კურიერის ან საფოსტო ორგანიზაციის მეშვეობით შეტყობინების ან სხვა დოკუმენტის გაგზავნის შემთხვევაში - კურიერის/საფოსტო ორგანიზაციისთვის ჩაბარების დღიდან მე–5 კალენდარულ დღეს, ან დამგირავებლისათვის ჩაბარების დადასტურების თარიღის დღეს, რომელსაც უფრო ადრე ექნება ადგილი.
- ელექტრონული ფოსტის საშუალებით გაგზავნის შემთხვევაში - დამგირავებლის ელექტრონული ფოსტის სერვერიდან (მისამართიდან) ბანკის მიერ გაგზავნილი შეტყობინების მიღების შესახებ დასტურის მიღების დღეს ან გაგზავნიდან მომდევნო დღეს, რომელსაც უფრო ადრე ექნება ადგილი.
- ნებისმიერი სხვა საშუალებით გაგზავნის შემთხვევაში - გაგზავნის თარიღიდან მეორე დღეს.

ბანკის შეტყობინება ან სხვა დოკუმენტი დამგირავებელზე მიღებულად/ჩაბარებულად ჩაითვლება იმ შემთხვევაშიც, თუ ბანკს შეტყობინება დაუბრუნდა გაგზავნილ მისამართზე დამგირავებლის ადგილსამყოფელის/საცხოვრებელი ადგილის არ არსებობის გამო ან დამგირავებელი უარს განაცხადებს შეტყობინების ან დოკუმენტის მიღებაზე/ჩაბარებაზე ან თავს აარიდებს მის მიღებას ან ბანკი ელექტრონული ფოსტის მეშვეობით მიიღებს დამგირავებლის ელექტრონული ფოსტის მისამართის გაუქმების ან არ არსებობის შესახებ შეტყობინებას.

თუ მოხდა მე-7 მუხლში მითითებული დამგირავებლის რომელიმე რეკვიზიტის/საკონტაქტო მონაცემის შეცვლა და ამის შესახებ წერილობით არ ეცნობება ბანკს, შეტყობინება/დოკუმენტი დამგირავებლის მიერ მიღებულად/ჩაბარებულად ითვლება მითითებულ რეკვიზიტზე/საკონტაქტო მონაცემზე გაგზავნის შემთხვევაშიც.

7. მხარეთა რეკვიზიტები

"მ ო გ ი რ ა ვ ნ ე"	"დ ა მ გ ი რ ა ვ ე ბ ე ლ ი"
სს "ვითიბი ბანკი ჯორჯია"	სახელი,გვარი
ფილიალი	პ/ნ
მისამართი	გამც.ორგ.
ხელმომწერი პირი	მისამართი:

(995 32) 2242424	ტელ.: ელ.ფოსტა: